

საქართველოს კარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო
სტანდარტების განყოფილება

მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზაცია საჯარო ბიბლიოთეკებში

მეთოდური რეკომენდაციები

თბილისი 2012

შემდგ.: ლ. ასლამაზიშვილი

რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი

მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზაცია საჯარო ბიბლიოთეკებში: მეთოდური რეკომენდაციები / საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბ-კა; შემდგ. ლ. ასლამაზიშვილი, რედ. გ. თაყნიაშვილი . – თბ. , 2011 . – 23 გვ.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა თავიანთი მხარის შესახებ არსებული წყაროების გამოვლენა, აღწერა და კარტოთეკების ორგანიზება. ბიბლიოთეკები გასცემენ ზეპირ და წერილობით ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, ქმნიან წერილობითი ცნობების არქივს. ასეთი მუშაობით ბიბლიოთეკები დახმარებას უწევენ მკითხველებს ყოველმხრივ შეისწავლონ თავიანთი მხარე, რაც თავისთავად პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთი საშუალებაა. ნაშრომი დაეხმარება საჯარო ბიბლიოთეკებს მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზებაში.

წიგნის ელექტრონული ვერსია იხილეთ www.nplg.gov.ge

შინაარსი

წინასიტყვაობა	4
თავი 1 მხარეთმცოდნეობით მუშაობასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და ტერმინები	6
თავი 2 უცხოელ და ქართველ ავტორთა ძირითადი ნაშრომები საქართველოს შესახებ	7
თავი 3 მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციის ძიება რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიულ წყაროებსა და საცნობარო გამოცემებში	10
თავი 4 მხარეთმცოდნეობითი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ორგანიზაცია, აღწერა, საცნობარო აპარატის შედგენა	15

წინასიტყვაობა

საქართველოს, როგორც გეოგრაფიული მხარისა და სახელმწიფოს შესახებ გამოქვეყნებული ბეჭდური თუ სხვა სახის მასალების გამოვლენა, შესწავლა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეადგენს ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთ-ერთ მიმართულებას. საქართველოს მუნიციპალიტეტების ცენტრალური (მთავარი) ბიბლიოთეკები მათი დაარსების პერიოდიდან აწარმოებენ ასეთი მასალების აღწერილობას და ქმნიან მხარეთმცოდნეობის კარტოთეკებს. მხარეთმცოდნეობითი მასალების საცნობარო აპარატში აღწერილია ამა თუ იმ მხარის შესახებ გამოქვეყნებული დოკუმენტები მხარის ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და სხვ. საკითხებზე, რომელთა გაცნობა მკითხველს საშუალებას აძლევს, ყოველმხრივ გაეცნოს რეგიონის ისტორიულ და თანამედროვე მდგომარეობას.

საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების შესახებ მასალები ქვეყნდებოდა ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან. ასეთი დოკუმენტები წარმოდგენილია ისტორიული, გეოგრაფიული თუ არქეოლოგიური შინაარსის პუბლიკაციებში. თანამედროვე ეტაპზე მუნიციპალიტეტში მომუშავე საჯარო ბიბლიოთეკები ფლობენ თავისი მხარის (რაიონის) შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს. ასეთი ბიბლიოთეკები თავიანთი სტატუსით ჩამოყალიბდნენ გასული საუკუნის 30-40-იან წლებში, და ამდენად ამ ბიბლიოთეკებში ორგანიზებული მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკები ამ პერიოდიდან იღებენ სათავეს. კარტოთეკებში აღწერილია მასალები როგორც ადგილობრივი პერიოდული, ასევე ცენტრალური (რესპუბლიკური) პერიოდული გამოცემებიდან. მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკები შეიცავენ როგორც სტატიების, ასევე წიგნის სახით გამოცემული დოკუმენტების აღწერილობებს, რომელთა შინაარსი ამა თუ იმ კუთხით ეხება მოცემულ მხარეს. ყველაზე სრულყოფილი სახით საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული მასალები წარმოდგენილია ეროვნულ და სხვა მსხვილ სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, მხარის მთავარ ბიბლიოთეკებში. ამდენად, მხარეთმცოდნეობითი ბიბლიოგრაფია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ეროვნული ბიბლიოგრაფიის ნაწილი.

მხარეთმცოდნეობითი მასალების შესწავლას გააჩნია შემეცნებითი, მეცნიერული, საგანმანათლებლო და საწარმოო დანიშნულება. ბიბლიოთეკებში ასეთი სახის მუშაობა ხელს უწყობს არა მარტო მხარის ყოველმხრივ შესწავლას, არამედ მკითხველთა პატრიოტულ აღზრდასაც. როგორც ცნობილია, სამშობლოს

სიყვარული სწორედ საკუთარი კუთხის სიყვარულიდან იწყება და ქვეყნის ისტორიისა თუ გეოგრაფიის სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია მისი ცალკეული მხარეების მეცნიერული შესწავლის გარეშე.

მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში ორგანიზებული მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკები თანამედროვე ეტაპზე შეიცავენ როგორც ტრადიციულ საბიბლიოთეკო დოკუმენტებს, ასევე ელექტრონული ფორმით გამოცემული მასალების აღწერილობებს. მხარეთმცოდნეობითი დოკუმენტების სისტემატიზაცია და საცნობარო აპარატის ორგანიზაცია წარმოებს საერთო წესის შესაბამისად. მისი სტრუქტურა ბევრად არ განსხვავდება სისტემატური და ელექტრონული კატალოგების სტრუქტურისაგან.

მუნიციპალიტეტის მთავარმა ბიბლიოთეკებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მათი მხარის შესახებ გამოქვეყნებული მასალების ოპერატიული ძიების პრობლემებზე. დღეისათვის ცნობილია, რომ ბიბლიოთეკები ნაკლებად ღებულავენ ახლად გამოცემულ მასალებს. ამდენად, მხარეთმცოდნეობითი ხასიათის პუბლიკაციები უფრო მეტად თავს იყრის ეროვნული და უნივერსალური ფონდების მფლობელ ბიბლიოთეკებში. მუნიციპალიტეტების მთავარმა ბიბლიოთეკებმა ელექტრონული საშუალებებით უნდა მოიძიონ შესაბამისი დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია და ასახონ ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში. ასეთი მიდგომა ადგილობრივ მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს საკუთარი მხარის შესახებ არსებულ მასალებს, რომლებიც დაცულია დიდი ფონდების მფლობელ ბიბლიოთეკებში.

საქართველოში სამხარეო და მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შესახებ მეთოდური ხასიათის ნაშრომი ცალკე გამოცემის სახით არ მოგვეპოვება. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში მხარეთმცოდნეობითი მუშაობა გაშუქებულია ცალკეულ სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებულია გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ განგვეზოგადებინა საქართველოს რამდენიმე რაიონში მხარეთმცოდნეობითი მუშაობის გამოცდილება. ნაშრომი, როგორც სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის მასალა, შეიძლება გამოადგეთ მუნიციპალიტეტების მთავარ ბიბლიოთეკებში მომუშავე ბიბლიოგრაფებს.

თაზო 1

მხარეთმცოდნეობით მუშაობასთან დაკავშირებული ძირ-
ითადი ცნებები და ტერმინები

მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზებულად და მეც-
ნიერულ-მეთოდოლოგიურ დონეზე წარმართვისათვის ბიბლი-
ოგრაფი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ერკვეოდეს ამ პროცესებთან
დაკავშირებულ ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. ამ მიზნით
შეიძლება გამოიყენოს როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური
ტერმინოლოგიური ლექსიკონები, ცნობარები, ენციკლოპედიები,
მეცნიერული ხასიათის ნაშრომები და ა.შ.

მ ხ ა რ ე თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა – ბიბლიოგრაფიული და ენციკლო-
პედიური ხასიათის ნაშრომებში განმარტებულია, როგორც ბეჭ-
დური და სხვა სახის მასალების ერთობლიობა, რომელიმე ქვეყ-
ნის ან მისი ცალკეული მხარის შესახებ. მხარეთმცოდნეობითი
ბიბლიოგრაფია გამოავლენს, სწავლობს და სისტემაში მოიყვანს
რომელიმე მხარის შესახებ არსებულ მასალებს. ასეთი პუბლიკა-
ციების საგანს შეადგენს მხარის ისტორიული, გეოგრაფიული,
საბუნებისმეტყველო და სხვა ასპექტით შესწავლა. მხარეთმცოდ-
ნეობითი ბიბლიოგრაფია წარმოადგენს სპეციალური ბიბლიოგ-
რაფიის სახეს, რომელსაც გააჩნია ბიბლიოგრაფიების გარკვეუ-
ლი თემატიკა. ქვეყნის რომელიმე მხარის შესახებ გამოქვეყნებუ-
ლი მასალა შეიძლება დაბეჭდილ იქნეს ამავე, ან სხვა მხარეში,
რომელიც შინაარსობრივად უკავშირდება ამა თუ იმ მხარეს.

ს ა მ ხ ა რ ე ო – ბიბლიოგრაფია აღრიცხავს და სისტემაში
მოიყვანს ერთ რომელიმე მხარეში გამოცემულ ბეჭდვით და სხვა
სახის მასალებს. მხარეში გამოქვეყნებული მასალები შეიძლება
იყოს მხარეთმცოდნეობითი შინაარსისა. ასეთი დოკუმენტები
ასახულია კატალოგებსა და ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშ-
რომებში. მხარეთმცოდნეობითი და სამხარეო ბიბლიოგრაფია თავს
უყრის ქვეყნის გარკვეული მხარის შესახებ არსებულ მასალებს,
აღრიცხავს და სისტემაში მოიყვანს ერთ რომელიმე მხარეში
გამოცემულ დოკუმენტებს. ორივე სახე ბიბლიოგრაფიული მუშაო-
ბისა შეადგენს რეგიონალური ბიბლიოგრაფიული მუშაობის
მანქვენებელს, რომელიც თავის მხრივ ემსახურება ეროვნული
ბიბლიოგრაფიის სრულყოფილად წარმართვას.

გ ე ო რ გ ი კ ა – ფილოლოგიური შინაარსის ტერმინია და აღნი-
შნავს ძველ უცხოურ მწერლობაში არსებული მასალების შეს-
წავლას. ასეთი სახის მასალები ამა თუ იმ კუთხით აშუქებენ

საქართველოს ისტორიას. ბიბლიოგრაფიული მუშაობის პროცესში გეორგიკა გამოიყენება უფრო ფართო გაგებით. იგი გულისხმობს საქართველოს შესახებ ყველა დარგისა და მიმართულების შესახებ მასალების გამოვლენას, აღწერასა და სისტემატიზაციას. ბეჭდური და სხვა სახის პროდუქცია საქართველოს შესახებ მრავალათეული სახელწოდების ნაშრომს ითვლის.

ქ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ო გ ი ა – ქართველთმცოდნეობა მოიცავს საქართველოს შემსწავლელ ყველა მეცნიერებას, რომლებსაც კომლექსურად სწავლობენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები (გეოგრაფიის, ისტორიის, მათემატიკის, ენათმეცნიერებისა და სხვ.). თანამედროვე ეტაპზე ქართველოლოგია ძირითადად სწავლობს საქართველოს შესახებ უცხოეთში მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს.

თავი 2

უცხოელ და ქართველ ავტორთა ძირითადი ნაშრომები საქართველოს შესახებ

საქართველოს შესახებ წერდნენ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან. წერდნენ ძველი ბერძნები, რომაელები, ბიზანტიელები, არაბები მე-8 საუკუნიდან, სომხები, სპარსელები, ოსმალები, რუსები. ამ ქვეყნების ავტორთა ნაშრომები ეხება საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, კულტურას, არქეოლოგიას, ფილოლოგიას და ა. შ. ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ შესწავლილია უცხოელ ავტორთა მიერ დატოვებული ეპიგრაფიკული, პალეოგრაფიული თუ სხვა თემატიკის ნაშრომები. მე-18 საუკუნიდან მოყოლებული რუსმა ისტორიკოსებმა და მკვლევარებმა – ბელოკუროვმა, დუბროვინმა, ბუტკოვმა და სხვებმა შეადგინეს საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული მასალების ნუსხები. მათ მიერ შედგენილი ანოტირებული ბიბლიოგრაფიული მანუშკნებლები იბეჭდებოდა გაზეთებში „Кавказ“, „Кавказский календарь“, „Тифлисский Вестник“ და ზოგიერთ სამეცნიერო ჟურნალებში. 1936 წელს ჟურნალმა „Советская библиография“ (№ 4-5) გამოაქვეყნა „Материалы для библиографии Библиографии Кавказа“ სადაც დასახელებულია მასალები ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს სხვადასხვა მხარეების შესახებ.

საქართველოს შესახებ 1960 წლამდე გამოცემული უცხოელი და ქართველი ავტორების ძირითადი შრომები მიმოხილულია გ. ბაქრაძის ნაშრომში „გეორგია“ (თბ. , 1960). (4) ავტორს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აქვს მიმოხილული საქართველოს შესახებ უცხოელი ავტორების შრომები. ცალკეა გამოყოფილი მე-13-19 საუკუნეების ევროპელი და რუსი მოგზაურების ნაშრომები საქართველოს შესახებ. ნაშრომს დაერთვის უახლესი ლიტერატურის სია საქართველოს შესახებ და ქართული საისტორიო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიები. გ. ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომი შეიცავს უცხოელი ავტორების ძირითადი ნაშრომების მოკლე დახასიათებას. ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით გეორგიაში დასახელებულია ნაშრომები საქართველოს შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებულია ბიბლიოგრაფიულ მანკენებლებსა და ლექსიკოლოგიურ ნაშრომებში. გ. ბაქრაძის აღნიშნული ნაშრომი ფასდაუდებელი წყაროა მხარეთმცოდნეობითი და ქართველოლოგიური კვლევების თვალსაზრისით. წიგნი უთუოდ დიდ სამსახურს გაუწევს მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკებს მხარეთმცოდნეობითი ბიბლიოგრაფიული მუშაობის სრულყოფილად წარმართვაში.

საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში ქართველოლოგიის დარგში ჩატარებული მეცნიერული კვლევები საკმაოდ შესწავლილი და გამოქვეყნებულია ქართველი ავტორების მიერ. მათგან ბოლოდროინდელი 30-40 წლის მასალაზე გამოცემული ნაშრომებიდან შეიძლება დავასახელოთ:

ფეიქრიშვილი უ. ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ . – თბ. , 2006.

შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ . – წ. 1-3. თბ. , 1991-1993.

მისივე რედაქტორობით გამოიცა მრავალტომეული „დაბრუნება“ ტ. 1-4. – თბ. , 1991-2001.

ურუშიაძე ლ. თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა მიერ გამოქვეყნებული ისტორიული რუკები . – თბ. - 2007

ოდიშელი ჯ. ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ . – თბ. , 2010

უცხოელების თვალით დანახული საქართველო . – თბ. , 2010 . – კრებული.

ქართველოლოგიის საკითხებზე სისტემატურად ეწეობა სამეცნიერო კონფერენციები. აქ წარმოდგენილი მოხსენებები მრავალი კუთხით ეხება საქართველოს. მათგან შეიძლება დავასახელოთ:

ბათუმი-ტრაპიზონის საერთაშორისო კონფერენცია, თბ. , 2007

ამავე სახელწოდების მეორე კონფერენცია ჩატარდა 2009 წელს. ორივე კონფერენციის მასალები შეიცავს ცნობებს საქართველოში ბიზანტინოლოგიური კვლევების შესახებ.

სამეცნიერო კონფერენციის მასალებში „კავკასია და კავკასიელები“ (თბ. , 2009) წარმოდგენილია სომხური წყაროების მიმოხილვა საქართველოს შესახებ.

კავკასიისა და საქართველოს შესახებ უცხოელი ავტორების ნაშრომების შესახებ საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის კონფერენციის მასალებში; გამოიცა „წელიწდეულის“ სახელწოდებით (ქუთაისი 2009, 2010 წწ. წ. 1-2).

საქართველოს შესახებ მეცნიერული, მხატვრული და სხვა სახის მასალები ქვეყნდებოდა ჯერ კიდევ მე-5, მე-6 საუკუნეებში, როდესაც შეიქმნა ქართული დამწერლობა. საქართველოს შესახებ საქართველოში შექმნილი ლიტერატურული თუ ისტორიული ძეგლები ხელნაწერების სახით დაცული იყო ეკლესიამონასტრებში. საქართველოს შესახებ უცხოელი და ქართველი ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები აღნუსხულია სპეციალურ და ზოგად ბიბლიოგრაფიულ წყაროებში, საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემულ „მატიანეებში“ (1926-1992 წწ.). უახლოესი გამოცემებიდან შეიძლება დავასახელოთ ლ. მენაბდის, გ. შარაძის, კ. ხარაძის, ლ. ტატიშვილის, ლ. მარუაშვილის, ბ. კუპატაძის, შ. ლომსაძის, გ. მაისურაძის, დ. მუსხელიშვილის და სხვ. ავტორთა ნაშრომები, რომელთა გაცნობა და ბიბლიოგრაფირება შესაძლებელია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ და სხვა დიდი ფონდების მფლობელთა ბიბლიოთეკებში. საქართველოს კულტურის, ეკონომიკის, ისტორიისა და სხვა საკითხებზე საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული კრებულებში: „საქართველოს ისტორია ტოპონიმიკაში“ თბ. , 2010 . – ტ. 1-2. „საქართველოს ისტორიული ძეგლები“ : ბიბლიოგრაფ. საძიებელი – ნაკვ. 1-4. „საქართველოს მოსახლეობა“ . – თბ. , 2003; „საქართველო გერმანულენოვან წყაროებში“ : ბიბლიოგრაფია. „

საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ თბ. , 2009; გარდა ამისა, ეროვნული და სამეცნიერო ბიბლიოთეკები ქმნიან ქართველოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობის მასალების მონაცემთა ბაზებს. ამ მხრივ საყურადღებოა ი. მოდებაძისა და თ. ციციშვილის ნაშრომი „ქართველოლოგიური ლიტერატურათმცოდნეობითი ბაზის დამუშავება, თავისებურებანი და პრობლემები“. – თბ. , 2005.

სხვადასხვა ქვეყნების ავტორთა ქართველოლოგიური ნაშრომების შესახებ ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შეიძლება საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში. ამ განყოფილების სისტემატურ კატალოგში ინდექსით (,,22)91(-0)(092) მოცემულია საქართველოს შესახებ სხვადასხვა ქვეყნების ავტორთა ნაშრომების აღწერილობანი.

თაზო 3

მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციის ძიება რეპროსექტულ ბიბლიოგრაფიულ წყაროებსა და საცნობარო ბაზოცემებში

საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების შესახებ სტატიები, კორესპონდენციები და სხვა სახის ინფორმაცია იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ და გრძელდებად გამოცემებში. ასეთი სახის პირველწყაროებში ძიება წარმოებს ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების გამოყენებით. ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები შედგენილია პირველი ქართული გაზეთის (1819 წ. „საქართველოს გაზეთი“). და პირველი ქართული ჟურნალის გამოცემიდან („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832) მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. ბიბლიოგრაფი უნდა ფლობდეს ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიებში ძიების მეთოდებს. გარდა ქართველოლოგიური შინაარსის მასალებისა ამ ბიბლიოგრაფიებში წარმოდგენილია სტატიების აღწერილობანი მეცნიერების ყველა დარგიდან. ბიბლიოგრაფი მათ მიმართავს სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიული ცნობების შედგენის პროცესში. ქართული პერიოდიკის რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ ტ. 2-6, რვა ნაკვეთად. ამ გამოცემების პირველ ტომად მიჩნეულია „ქართული გაზეთის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ (თბ. , 1942). ქართული გაზეთების

ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში აღწერილია სტატიები გაზეთებიდან „დროება“, „შრომა“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ცისკარი“, „თეატრი“. აღწერილი მასალა სისტემატიზებულია დარგობრივი წესით 23 განყოფილებაში. თითოეულ ტომს დაერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებლები. მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ ბიბლიოგრაფიული ნაშრომებიდან რაიონისა და მისი ცალკეული სოფლების შესახებ გამოქვეყნებული მასალები. გეოგრაფიული დასახელებები წარმოდგენილია გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელში. მაგალითად, თუ გვინტერესებს, რას წერდა „ცნობის ფურცელი“ 1897 წელს ფოთის ნავსადგურის შესახებ, უნდა დაიძებნოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებელში, სადაც მითითებული არაბული ციფრი ნიშნავს ჩანაწერების რიგის ნომერს, და არა გვერდებს. ამავე წესით დაიძებნება ამ გამოცემის ნებისმიერ ტომში მასალები საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების შესახებ. აღნიშნულ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას არ დაერთვის საგანთა საძიებელი, ვინაიდან მასალა სისტემატიზებულია დარგობრივი პრინციპით და ბიბლიოგრაფს შეუძლია ასეთი მასალები დაიძებნოს შინაარსის (სარჩევის) გამოყენებით. ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ექვსტომეული წარმოგვიდგენს საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ მასალებს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. რეტროსპექტიული ხასიათის ბიბლიოგრაფიული ცნობის შედგენის პროცესში ბიბლიოგრაფი გვერდს ვერ აუვლის აღნიშნულ გამოცემებს. ისინი ითვლება მეცნიერ-მკვლევარებისათვის სამაგიდო საინფორმაციო წყაროდ. როგორც აღვნიშნეთ, ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია მოიცავს სტატიების აღწერილობებს 1904 წლამდე. 1938 წლიდან ქართული გაზეთების შინაარსს ხსნის „გაზეთების მატთანე“, რომელსაც გამოსცემდა საქართველოს წიგნის პალატა. ეს გამოცემა შეწყდა 1992 წელს. შემდგომი პერიოდის ქართული გაზეთების მასალები ანალიტიკური აღწერილობის წესით წარმოდგენილია დიდი სამეცნიერო და საქალაქო ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებში ორგანიზებულ სისტემატურ და თემატურ კარტოთეკებში. თითოეული მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკები გაზეთებიდან ამოწერენ მათთვის მაპროფილებელ მასალებს და აწარმოებენ მხარეთმცოდნეობის კარტოთეკებს.

მეორე მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული წყარო, სადაც აღრიცხულია ქართული წიგნები საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების შესახებ, არის „ქართული წიგნის ბიბლიოგრაფია“

– ტ. 1-3 . – თბ. , 1941-1964. ამ გამოცემის პირველ ტომში მხარეთმცოდნეობითი შინაარსის გამოცემები იძებნება გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებლის გამოყენებით. ტომში აღწერილია ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები 1629-1920 წწ. პერიოდისა. აღწერილი მასალების აღწერილობანი განლაგებულია წიგნების გამოცემის პერიოდების, ანუ ქრონოლოგიური წესით. ტომი აღჭურვილია საცნობარო აპარატით, დაერთვის 17 სახელწოდების საძიებლი, რომელთა გამოყენებით ბიბლიოგრაფი ღებულობს ოპერატიულ ინფორმაციას ამა თუ იმ საკითხებზე თუ გეოგრაფიული ადგილის შესახებ. პირველი ტომი შეიცავს 5833 ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს. ტომში წარმოდგენილი ძველი ქართული ნაბეჭდი წიგნების აღწერილობებს დაერთვის ანოტაციები. „ქართული წიგნის“ სამტომეულიდან მხოლოდ პირველ ტომს დაერთვის საგნობრივი საძიებელი, ვინაიდან მე-2 და მე-3 ტომებში აღწერილი მასალა სისტემატიზებულია დარგობრივი პრინციპით. სამივე ტომში ამა თუ იმ მხარის შესახებ წარმოდგენილი მასალები იძებნება გეოგრაფიული საძიებლის გამოყენებით. პირველ ტომში საქართველოს შესახებ წარმოდგენილია დაახლოებით 300-მდე წიგნის აღწერილობა. ამავე ტომში ბიბლიოგრაფს შეუძლია დაძებნოს მხარეთმცოდნეობითი შინაარსის გამოცემები მათი გამოცემის ადგილის მიხედვით. გარდა საქართველოს დიდ ქალაქებში დაბეჭდილი წიგნებისა, აქ აღწერილია რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში დაბეჭდილი ქართულენოვანი გამოცემები (სოფ. წესი, ხიზაბავრა, ხონი, ყვირილა, საჩხერე, სიღნაღი და ა. შ.). ეს ჩანაწერები წარმოადგენენ სამხარეო ბიბლიოგრაფიის ნიმუშებს. როგორც აღვნიშნეთ „ქართული წიგნის“ სამივე ტომში მასალა აღწერილია 1950 წლამდე. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში მხარეთმცოდნეობითი შინაარსის გამოცემები შეიძლება დაიძებნოს „წიგნის მატიანეში“ (გამოდიოდა 1926-1992 წწ.) და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების ფონდებში.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის შემდეგი უნივერსალური წყარო, სადაც აღნუსხულია საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების შესახებ გამოქვეყნებული მასალები, არის “ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ ტ. 1-3 . – თბ. , 1940-1944. ტომებში აღწერილია ქართული ჟურნალები და კრებულები: „გუთნის დედა“, „კრებული“, „ნათობი“, „სასოფლო გაზეთი“, „საქართველოს მოამბე“, „ცისკარი“, „თეატრი“, „ივერიის“, „იმედი“, „მეურნე“, „მწყემსი“, „მნათობი“, „ჯეჯილი“, „საქართველოს კალენდარი“, „მოგზაური“, „კვალი“, „აკაკის კრებული“, და

სხვა გრძელდებადი გამოცემები. სამივე ტომი შეიცავს 1852-1906 წლების მასალების აღწერილობებს. ამ ტომებში, ისევე როგორც ქართული გაზეთებისა და წიგნების რეტროსპექტულ ბიბლიოგრაფიულ წყაროებში, მხარეთმცოდნეობითი მასალები იძებნება გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებლის გამოყენებით. გარდა ამ სამტომეულისა, ცალკეა გამოცემული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიები : „ქუნალ მნათობის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, „ცისკრის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ და სხვ. გამოცემები, რომელთა შინაარსის გაცნობა და მხარის შესახებ გამოქვეყნებული მასალების აღწერა შესაძლებელია დიდი ფონდების მფლობელ ბიბლიოთეკებთან კავშირის საშუალებით. საქართველოს ცალკეული მხარეების შესახებ გამოქვეყნებული მასალების ბიბლიოგრაფიებიდან პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ ხ. ახვლედიანის ნაშრომი „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“, ბათუმი, 1960. წიგნში აღწერილია აჭარის შესახებ 1960 წლამდე გამოცემული მასალების აღწერილობა; გარდა ამისა, აღწერილი მასალა ეხება სამხრეთ საქართველოს მთელ რიგ რეგიონებს. წიგნს დაერთვის გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი. ეს ნაშრომი ფაქტიურად გაგრძელებაა 1951 წელს აჭარის სახელმწიფო მუზეუმის მიერ გამოცემული ნაშრომისა „აჭარის ბიბლიოგრაფია“. ხ. ახვლედიანის ნაშრომში ცალკე განყოფილებაშია წარმოდგენილი ბათუმში გამოცემული წიგნების აღწერილობა, რომლებიც თავიანთი შინაარსით არ ეხება აჭარას.

ცხადია, ნაშრომის მოცულობისა და მიზანდასახულობის გათვალისწინებით აქ შეუძლებელია ყველა სახის ბიბლიოგრაფიული ნაშრომების დამოწმება და ანალიზი. გარდა ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომებისა, მხარეთმცოდნეობითი შინაარსის მასალები უხვადაა წარმოდგენილი ზოგადი ხასიათის ენციკლოპედიებსა და ცნობარებში. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი უნივერსალური შინაარსის ენციკლოპედია, როგორცაა ქსე, თბ. , 1975-1987, II ტომად. ენციკლოპედიაში ანბანურ რიგზეა წარმოდგენილი სტატიები საქართველოს, მისი ცალკეული მხარეებისა და მსოფლიოს გეოგრაფიული ადგილების შესახებ. თითოეული სტატიის ქვეშ მითითებულია მისი ავტორი და ამ მხარის შესახებ ძირითადი წყაროების ჩამონათვალი. ქსე-ს დამატებითი ტომის სახით დაერთვის ორი ტომი ქართულ და რუსულ ენებზე. ეს არის სპეციალური ტომები, რომლებშიც თავმოყრილია ყველა ძირითადი ცნობები საქართველოს შესახებ. მასალა ტომებში სისტემატიზებულია თემატური პრინციპით, განსხვავებით წინა II ტომისაგან, სადაც მასალა დალაგებულია ანბანურ

რიგზე. ცალკე თავებადაა გამოყოფილი იმ მასალების აღწერილობები, რომლებიც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს. ქსე-ს თერთმეტტომეული უნივერსალური შინაარსის საცნობარო გამოცემაა, რომელსაც პირველ რიგში უნდა მიმართოს ბიბლიოგრაფმა ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემისას, და რაც მთავარია, მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკების ორგანიზების პროცესში.

საქართველოს შესახებ მეცნიერული ხასიათის ნაშრომია გამოქვეყნებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საიუბილეო თარიღთან დაკავშირებულ გამოცემაში: „საბჭოთა საქართველოს 40 წელი“ (თბ., 1961), „საბჭოთა საქართველო 50 წელი“ (თბ., 1971).

მხარეთმცოდნეობითი ფონდების საცნობარო აპარატში უთუოდ წარმოდგენილი უნდა იქნეს: „ქართლის ცხოვრება“ ტ. 4. ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსი საქართველოსი“ . – თბ., 1973. ეს დიდტანიანი ნაშრომი ფაქტიურად წარმოადგენს საქართველოს ცალკეული კუთხეების შესახებ ბიბლიოგრაფიული ძიების პირველ წყაროს. საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული კრებულში „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ“, 35 ნაკვეთად (თბ., 1937-1963). საქართველოს შესახებ უცხოელ ავტორთა ნაშრომები თავისი კომენტარებით გამოქვეყნებულია მრავალტომეულში „გეორგია“ ტ. 1-8. თბ; 1961-1970. მხარეთმცოდნეობითი ხასიათის მეცნიერულ ნაშრომები აღნუსხულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოცემათა ბიბლიოგრაფიაში, 6 ტომი (თბ., 1959-1981).

აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებული მასალები აღნუსხულია აქ დასახელებული ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების ტომეულებსა და საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემულ „მატიანეებში“. 2009 წელს საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა ცალკე წიგნად გამოსცა მ. ბუღეიშვილისა და რ. მურდულიას ნაშრომი „ბიბლიოგრაფია აფხაზეთის შესახებ“. მხარეთმცოდნეობითი ხასიათის ფონდებში წარმოდგენილი უნდა იყოს ცალკეული ქალაქების, სოფლებისა და მხარეების შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომები.

თაზო 4

მხარეთმცოდნეობითი საბიბლიოთეკო დოკუმენტების ორბანიზაცია, აღწერა, საცნობარო აპარატის შედგენა

მხარეთმცოდნეობითი შინაარსის დოკუმენტებს განეკუთვნება წიგნები, საჟურნალო და საგაზეთო სტატიები, ელექტრონული ჩანაწერები, რომლებშიც ფიქსირებულია ინფორმაცია რომელიმე მხარის შესახებ. საბიბლიოთეკო დოკუმენტები შეიძლება შეიცავდეს ინფორმაციას ამა თუ იმ მხარის შესახებ, ან გამოცემული უნდა იყოს ერთ რომელიმე მხარეში. მხარეთმცოდნეობით დოკუმენტებს განეკუთვნება როგორც გამოქვეყნებული (ბეჭდვითი, ელექტრონული, აუდიოვიზუალური მასალები, მიკროფილმები და სხვ.), ასევე გამოუქვეყნებელი მასალები (ხელნაწერები, ფოტომასალების კოლექციები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები). მხარეთმცოდნეობითი შინაარსის ინფორმაცია წარმოდგენილია აგრეთვე არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიშებში, მატერიალური კულტურის ძეგლებში, ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ნიმუშებში. ასეთი ნიმუშები უპირატესად თავს იყრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში. ბიბლიოთეკა მათ იყენებს გამოფენების მოწყობისა თუ სხვა ღონისძიებების ჩატარებისას. კოორდინაციული მუშაობა მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკასა და მხარეთმცოდნეობით მუზეუმს შორის ბევრწილად განაპირობებს მხარეთმცოდნეობითი მიმართულების ეფექტურობას. როგორც აღნიშნული იყო, მხარეთმცოდნეობითი საბიბლიოთეკო დოკუმენტები ორი კუთხით შეიძლება იყოს დაკავშირებული მხარესთან. პირველი – თავისი შინაარსით შეეხებოდეს მოცემულ მხარეს, და მეორე – იგი გამოცემული იყოს ამ მხარეში. ადგილობრივი გამოცემების ფონდები იქმნება იმ ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში, სადაც იცემოდა რაიმე ფორმის ბეჭდური პროდუქცია. ასეთი გამოცემები აღწესებულია სამხარეო – ბიბლიოგრაფიულ ნაშრომებში. მას შემდეგ, რაც ბიბლიოთეკა დააზუსტებს მხარეთმცოდნეობითი შინაარსის დოკუმენტებს (ბეჭდურ და სხვა სახის), ბიბლიოგრაფი ქმნის მხარეთმცოდნეობითი მასალების საცნობარო აპარატს. რა თქმა უნდა, არ არის საჭირო მხარეთმცოდნეობითი დოკუმენტების ცალკე საინვენტარო წიგნში აღრიცხვა; ასეთი დოკუმენტები აღინუსხება საერთო საინვენტარო წიგნში; მხარეთმცოდნეობითი ფონდები ცალკეა გამოყოფილი უნივერსალურ სამეცნიერო და ეროვნულ ბიბლიოთეკებში, სადაც ცალკე ფუნქციონირებს მხარეთმცოდნეობითი (ქართველოლოგიური) განყოფილება.

ფილება. მასალები აღიწერება სტანდარტების შესაბამისად (მონოგრაფიული გამოცემები, ანალიტიკური აღწერილობები და ა.შ.). აღწერილი მასალები სისტემატიზებულია ცალკე კარტოთეკის სახით. კარტოთეკის სტრუქტურა შეესაბამება სისტემატური კარტოთეკის სტრუქტურას, ე. ი. მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში მასალების აღწერილობანი განლაგებულია უაკ-ის ცხრილების შესაბამისად. იმ რაიონების ბიბლიოთეკებში, სადაც ასეთი მასალები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი, კარტოთეკებში აღწერილი მასალები შეიძლება განლაგდეს თემატურად. ჩვეულებრივ სისტემატიზაციის პროცესში წინ წამოსწევენ ხოლმე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიღებული იურიდიული ნორმატიული მასალების აღწერილობებს, მუნიციპალიტეტის დონეზე მიღებულ აქტებს, დადგენილებებს, გადაწყვეტილებებს, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროექტების აღწერილობებს, რომლებიც ამა თუ იმ კუთხით ასახავენ ამ მხარის ისტორიულ, კულტურულ თუ ეთნოგრაფიულ ასპექტებს. მხარის ყოველმხრივი შესწავლისათვის საჭირო ინფორმაციაა წარმოდგენილი ლინგვისტიკური შინაარსის მასალებში. ესენია: ადგილობრივი დიალექტების ჩანაწერები, თქმულებები, ლეგენდები და სხვ; ასევე მნიშვნელოვანია პირველადი წყაროები, რომლებიც დაცულია ადგილობრივ მუზეუმებსა და არქივებში.

მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში ოფიციალური მასალების წარმოდგენის შემდეგ შეიძლება მასალები განლაგდეს თემატური პრინციპით : ზოგადი ხასიათის ცნობები და ენციკლოპედიები მხარის შესახებ (უაკ-ის 0 განყოფილება). აქ შეიძლება აღიწეროს მასალები ქსე-დან, რომელშიც გამოქვეყნებულია სტატიები რაიონის (მხარის) და მისი ცალკეული დასახლებული პუნქტების შესახებ. ქსე-ე, როგორც უნივერსალური ბიბლიოგრაფიული წყარო, სისტემატურად გამოიყენება სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემის პროცესში. ასეთი ცნობები შეიძლება იყოს ფაქტოგრაფიული, რომელიც ასახავს ამ მხარეში მომხდარი ისტორიული ფაქტების შესახებ არსებულ წყაროებს. მაგალითად, მასალები ასპინძის ომის შესახებ უთუოდ ასახული უნდა იყოს ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში, ისევე როგორც მასალები ბაზალეთის ომის შესახებ ასახული უნდა იყოს დუშეთის საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში. მხარის შესახებ ზოგადი ხასიათის ცნობების შემდეგ კარტოთეკაში ასახული უნდა იქნეს მხარის რელიგიური, ადგილობრივი ეკლესია-მონასტრების შესახებ გამოქვეყნებული მასალები. ამის შემდეგ კარტოთეკაში შეიძლე-

ბა განლაგდეს მასალები მხარის სტატისტიკის, ეკონომიკის, განათლების, იურიდიული სამსახურის, მმართველობის, ხელოვნების, გეოგრაფიის, ისტორიის შესახებ. ასეთი თემატური განლაგება ხელს უწყობს მკითხველს, ადვილად დაძებნოს მხარის შესახებ მისთვის საინტერესო მასალები. მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, რომლებიც თავიანთი თემატიკით მხარეთმცოდნეობითი შინაარსისაა. მხარის ცნობილი პიროვნებების შესახებ მასალები შეიძლება ცალკე გამოიყოს კარტოთეკაში ან შესაბამის დარგებში, მაგალითად თელავის ცნობილი პიროვნებები მედიცინის დარგში, სახალხო განათლების მოღვაწენი ქუთაისიდან და ა.შ. ზოგიერთი რაიონის მხარეთმცოდნეობით კარტოთეკაში ცალკეა გამოყოფილი პერსონალია, სადაც აღნუსხულია მასალები ამა თუ იმ პიროვნების შესახებ და იქვეა მითითებული, თუ რომელ დარგში, რომელ სფეროში მოღვაწეობდა მხარეში ცნობილი პიროვნება.

როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე მდიდარი მხარეთმცოდნეობითი დოკუმენტების ფონდები გააჩნია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებას. აღნიშნულ ბიბლიოთეკაში მხარეთმცოდნეობით მუშაობას საფუძველი ჩაეყარა 1935 წლიდან. დღეისათვის ქართველოლოგიის განყოფილებაში დაცულია წიგნები ქართულ ენაზე 25.000-მდე ეგზემპლარი, უცხოურ ენებზე – 13.000. ქართულ ენაზე ჟურნალებისა და გაზეთების სახელწოდებათა რაოდენობა შეადგენს 648-ს, უცხოურ ენებზე – 273-ს. საბიბლიოთეკო დოკუმენტების ეს მდიდარი მასივი წარმოადგენს ქართველოლოგიური კვლევის საფუძველს: ფონდების შინაარსი გახსნილია სისტემატურ და ელექტრონულ კატალოგებში; იწარმოება აგრეთვე ანბანური და ტოპოგრაფიული კატალოგები. პერიოდულ გამოცემებზე შედგენილია ანბანური და ქრონოლოგიური კატალოგები. განყოფილებაში წარმოებული ბარათული სახის კატალოგები შეტანილია ელექტრონულ კატალოგებში. განყოფილებაში ამჟამად იწარმოება 3 სახის ელექტრონული ბაზა: 1 – გაზეთების მატიანე, რომელიც მოიცავს 1819-1908 წლების ქართული გაზეთების მასალების ანალიტიკურ აღწერილობებს; 2. ჟურნალების მატიანე, ქართული ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. აღწერილია 1852-1981 წწ. ქართული ჟურნალები; 3. ქართველოლოგიური წიგნებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია. მონაცემთა ბაზები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებ გვერდის ელექტრონულ კატალოგებში. ამჟამად განყოფილება მუშაობს ელექტრონულ ვერსიაზე:

1. საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი;
2. ფსევდონიმების ლექსიკონი.

ქართველოლოგიური წიგნებისა და კრებულების ფოტომასალის აღწერილობა წარმოდგენილია ანბანური და სისტემატური კარტოთეკის სახით, იქმნება ამ მასალების ელექტრონული კატალოგი. განყოფილება მდიდარია სხვადასხვა დროს შესრულებული წერილობითი ცნობებით, რომლებიც წარმოდგენილია არქივის სახით. წერილობითი ცნობები სისტემატურად ივსება ახალი მასალებით. მათი შინაარსი გახსნილია სისტემატურ კარტოთეკაში; წარმოებს აგრეთვე შესრულებული ცნობების ანბანური კატალოგი; განყოფილება შეკვეთებს იღებს ელექტრონული ფორმატით როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში მცხოვრები პირებისა და ორგანიზაციებიდან. ქართველოლოგიური ფონდებით სისტემატურად სარგებლობენ მუნიციპალიტეტების მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფები. ინტერნეტის გამოყენებით მკითხველი ღებულობს ინფორმაციას მისთვის საინტერესო მხარის შესახებ. ქართველოლოგიურ განყოფილებაში დაცული მხარეთმცოდნეობითი პერიოდული და გრძელვადიანი გამოცემებიდან სისტემატურ გამოყენებაშია:

„კავკასიის მაცნე“ . – 2000-2008 . – № 1-17

„მესხეთი“ – საისტორიო კრებული – 1997-2008 . – № 1-10

„ქართველოლოგია“ – 2000-2005 . – № 7 -12

„ქართველოლოგია“ – 2007-2011

„ქართველოლოგიური კრებული“ – 2002-2008

„საქართველო“ – ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი - 2001–2011 – წ. 1-10; უნივერსალური შინაარსის ბიბლიოგრაფიული საძიებელი. მასში აღწერილია ჟურნალები და კრებულები, რომლებიც გამოიცემოდა 2000 წლიდან. ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას დაერთვის პირთა საძიებელი.

საქართველოსა და კავკასიის შესახებ საინტერესო მასალებია წარმოდგენილი რუსულენოვან პერიოდულ და გრძელვადიან გამოცემებში:

“Известия Кавказского отдела русского географического общества” - 1846-1916 . - Т. 1-24.

“Кавказский календарь” - 1846-1907

“Кавказский сборник” - 1876-1912 . - Т. 1-22

“Кавказковедение” - 2002-2008 . - Т. 1-12

ქართველოლოგიური ფონდის შინაარსი მრავალმხრივ არის გახსნილი აქ მითითებული კატალოგების, კარტოთეკებისა და ელექტრონული ვერსიების საშუალებით. საჭიროა მათი მიზნობრივი გამოყენება მუნიციპალიტეტების ბიბლიოთეკებში ანალოგიური ბიბლიოგრაფიული სამუშაოების მაღალ დონეზე წარმართვისათვის

თბილისის შესახებ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი ქალაქის მთავარ ბიბლიოთეკაში, სადაც 1986 წლიდან ფუნქციონირებდა მხარეთმცოდნეობის, (თბილისისმცოდნეობის) განყოფილება. ამჟამად იგი შეუერთდა საცნობო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას. თბილისისმცოდნეობის კარტოთეკა შეიცავს 60 ათასზე მეტ ჩანაწერს. ოფიციალური მასალების აღწერილობის შემდეგ წიგნები, სტატიები და სხვ. სახის ინფორმაციების აღწერილობები სისტემატიზებულია უაკ-ის მიხედვით. ცალკეა გამოყოფილი რუბრიკები : „თბილისის საპატოო მოქალაქეები“, „თბილისის მერია“, „თბილისის საკრებულო“, „თბილისის ტოპონიმები“ და ა.შ.

მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მხარეთმცოდნეობითი მუშაობის თვალსაზრისით მდიდარი გამოცდილება გააჩნია თბილისის ლ. ასათიანის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკას. ამ კუთხით ბიბლიოთეკა ატარებს ზეპირ და თვალსაჩინო სახის ღონისძიებებს, როგორცაა : გამოფენები, რეკლამა, გამოფენა-დილოგი, კონსულტაციები, საუბრები, გზამკვლევები, წიგნების წარმოდგენა, დაუსწრებელი მოგზაურობები, მხარეთმცოდნეობითი სადამოებო, ექსკურსიები და სხვ. ასეთი ღონისძიებებიდან ეფექტურობით გამოირჩეოდა : „ვინ უკეთ იცნობს სამშობლოს“, „მუზეუმები ღია ცის ქვეშ – დმანისი“, „ამ მთებიდან იმ მთებამდე“, „მოგზაურობა მდინარე მტკვარზე“, „ფეხით უნდა მოიარო საქართველოს კუთხეები“ და სხვ. მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა სისტემატურად ივსება ახალი გამოცემებით. აღწერილი მასალა დაჯგუფებულია თემატური პრინციპით. მაგალითად, რუბრიკა „ეს ჩვენი სამშობლოა“ მოიცავს ქვეთავებს: კონსტიტუცია, კანონები; საქართველო, როგორც მრავალეროვანი სახელმწიფო, სიმბოლიკა, ჰიმნი, დროშა, გერბი. საქართველოს ცალკეული კუთხ-

ეების შესახებ მასალები გამოყოფილია სპეციალური გამოყოფებით, სადაც წარმოდგენილია მასალები ამა თუ იმ კუთხის ისტორიის, გეოგრაფიის, დღევანდულობის, ტრადიციების, კულტურის, ფოლკლორის და ა.შ. ბავშვებთან ხშირად ტარდება მხარეთმცოდნეობითი შინაარსის გასაუბრება თემებზე : ვის სახელს ატარებს შენი ქუჩა, ვის სახელს ატარებს შენი სკოლა, სად არის შენი სოფელი, იცნობ თუ არა მას? და ა.შ. ამ თემებზე მუშაობის დროს ბიბლიოთეკარებმა გამოიყენეს ისეთი გამოცემები, როგორცაა: ქართული ხალხური დღეობა – დღესასწაულები და წეს-ჩვეულებები, აღწერილი ბავშვებისათვის, საქართველოს საბავშვო ატლასი. კონკურსის ჩატარებაში „ვინ უკეთ იცნობს სამყაროს“ ბიბლიოთეკარებმა გამოიყენეს გამოცანები : შალვაშილი ლ. „ნინი, ზუკა და დედამიწა“ და „საბავშვო ატლასი“. ღონისძიებათა ციკლი „ეს ჩემი სამშობლოა“ ჩატარდა დაუსწრებელი მოგზაურობის ფორმით. წარმოდგენილი იყო საქართველოს ყოველი კუთხის ამსახველი გეოგრაფიული, ისტორიული, კულტურული, ეთნოგრაფიული სახის მასალები.

მოსწავლე-ახალგაზრდობაში დიდი ინტერესი გამოიწვია ღონისძიებამ „დაუსწრებელი მოგზაურობა ტივით მდინარე მტკვარზე“. მკითხველებმა წარმოადგინეს მასალები მდინარე მტკვრის სანაპიროზე არსებული ისტორიული ძეგლების შესახებ. ტივი მოგზაურობდა რუკით. ღონისძიება ჩატარდა საქართველოს მასშტაბით. მასში მონაწილეობდნენ სკოლები, ბიბლიოთეკები. მხარეთმცოდნეობითი მუშაობის პროცესში ბიბლიოთეკა სისტემატურად იყენებს საბავშვო ენციკლოპედიებს, „სახალისო გეოგრაფიას“, სხვადასხვა დარგში არსებულ სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებს, ცნობილ ადამიანთა შესახებ არსებულ ლიტერატურას. საბავშვო ბიბლიოთეკებში მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ეფექტურად წარმართვისათვის ნამდვილად გამოადგებათ აღნიშნული ბიბლიოთეკის მდიდარი გამოცდილება.

დ უ შ ე თ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მთავარ ბიბლიოთეკაში 30 წელზე მეტია, რაც წარმოებს მხარეთმცოდნეობითი კართოთეკა. მასში აღწერილი მასალები მკითხველს აცნობს დუშეთისა და დუშეთის რაიონის ყოფა-ცხოვრებას, ისტორიას, ფოლკლორს, სახალხო განათლებას, დუშეთის ცნობილ ადამიანებს და ა.შ. კარტოთეკა სისტემატურად მდიდრდება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან. ისტორიული ნაწილის შესავსებად ადგილობრივმა ბიბლიოგრაფებმა გამოიყენეს ქართული რეტროსპექტიული ბიბლიოგრაფიის ნაშრომები.

ქასპის მუნიციპალიტეტის მთავარ ბიბლიოთეკაში მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა აერთიანებს 1000-მდე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს. კარტოთეკა წარმოებს 1970-იანი წლებიდან. ზოგადი ხასიათის რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული წყაროების გარდა მასალები ამოწერილია პერიოდული და გრძელდებიანი გამოცემებიდან, ადგილობრივი გაზეთიდან; მასალა სისტემატიზებულია თემატური პრინციპით.

ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებით სისტემატურად საუბელობენ მეცნიერ-მუშაკები, სტუდენტები, მოსწავლეები. ბიბლიოთეკა მჭიდროდ თანამშრომლობს მხარეთმცოდნეობით მუზეუმთან. ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები. მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა მდიდრდება როგორც სპეციალური, ასევე ზოგადი ხასიათის ბიბლიოგრაფიული წყაროებიდან. ყოველწლიურად იყენებენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ მანუალებს „საქართველო“.

ათასამდე ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს შეიცავს ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა. მკითხველები ღებულობენ ოპერატიულ ინფორმაციას ზუგდიდის ისტორიული წარსულის, ხელოვნების, კულტურის, არქიტექტურული ძეგლების, სამონასტრო კომპლექსების და სხვ. საკითხებზე. კარტოთეკაში ასახულია ზუგდიდის მწერლებისა და პოეტების (რ. ჩილაჩავა, დ. ივარდავა, ც. ჩხეტია-ჭკადუა და სხვ.) ცხოვრება და შემოქმედება. ისტორიული პიროვნებებიდან კარტოთეკაში წარმოდგენილია მასალები ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ზუგდიდის ოლქის უფროსის რ. ერისთავის, ა. როგავას, ი. ქორთუას და სხვ. შესახებ. მკითხველი ახლოს ეცნობა ზუგდიდში ამჟამად მცხოვრები სახელოვანი ადამიანების: ვ. კვარაცხელიას, ო. ფაცაციათს, ო. გუგუნიას, ს. გვარამიას და სხვათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ისტორიკოსებისათვის, და არა მარტო მათთვის, საინტერესო მასალებია წარმოდგენილი კარტოთეკაში დადიანების სასახლის, დუტუ მეგრელისა და ცოტნე დადიანის გმირობის შესახებ. მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკა, როგორც უნივერსალური შინაარსის საცნობო აპარატი, წარმოადგენს ზეპირი და წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობების შედგენის წყაროს. კითხვა-პასუხის რეჟიმში მომუშავე ბიბლიოგრაფებს ყოველდღიურად უხდებოთ უამრავი ინფორმაციის გაცემა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მხარეთმცოდნეობითი მუშაობის მხრივ საინტერესო მასალებია გამოქვეყნებული მე-19 საუკუნის მე-2 ნახევრის ქართულ პერიოდულ და გრძელდებიან გამოცემებში, რომლებიც თავის დროზე დამუშავდა და აისახა კარტოთეკაში. მხარეთმცოდნეობითი შინაარსის წერილობითი ინფორმაციები სისტემატურად

გაიცემა ინტერნეტის გამოყენებით ბეჭდური სახით. ინტერნეტი საშუალებას გვაძლევს, მოვიპოვოთ მასალები ზუგდიდისა და საერთოდ, სამეგრელოს შესახებ დიდი ფონდების მფლობელი ბიბლიოთეკებიდან.

ბ ა თ უ მ ი ს ა . წ ე რ ე თ ლ ი ს ს ა ხ . ს ა ჯ ა რ ო ბ ი ბ -
ლიოთეკაში მხარეთმცოდნეობით მუშაობას საფუძველი ჩაე-
ყარა 1978 წლიდან. დღეისათვის მხარეთმცოდნეობითი კარტოთე-
კა აერთიანებს 27 ათასზე მეტ ბიბლიოგრაფიულ ჩანაწერს. მასა-
ლა სისტემატიზებულია თემატური პრინციპით. აჭარის შესახებ
სტატიები დამუშავებულია ანალიტიკური ბიბლიოგრაფიებიდან.
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული
ოფიციალური მასალების აღწერილობის შემდეგ ბიბლიოგრაფი-
ული ჩანაწერები მკითხველს აწვდის ინფორმაციას აჭარის კულ-
ტურის, განათლების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, რელიგიური მიმ-
დინარეობის, მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან. პირველწ-
ყაროებად გამოყენებულია როგორც ადგილობრივი, ასევე რეს-
პუბლიკური გამოცემები; სისტემატურად ივსება გაცემული წერ-
ილობითი ბიბლიოგრაფიული არქივი. სისტემატური მოთხოფ-
ნილებით სარგებლობენ ისეთი გამოცემები, როგორცაა „ქსე“,
„ქართული წიგნი“, „ქართული ჟურნალებისა და კრებულების
ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, „ქართული გაზეთების ანალი-
ტიკური ბიბლიოგრაფია“, ბიობიბლიოგრაფიული სერია, დარგო-
ბრივი და სპეციალური ცნობარები, გზამკვლევები. აჭარის შესახებ
ბოლოდროინდელი უნივერსალური შინაარსის ცნობებიდან მუდ-
მივ მოთხოვნებშია თ. კომახიძის „აჭარის ენციკლოპედიური
ცნობარი“ – ტ. 1. – ბათუმი, 2010.

ბიბლიოგრაფები სისტემატურად მიმართავენ საქართველოს
პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ გამოქვეყნებულ
ანოტირებულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელს „საქართველო“, გამოჩე-
ნილ საზოგადო მოღვაწეთა და მეცნიერთა შესახებ არსებულ
ბიბლიოგრაფიულ საძიებლებსა და სპეციალური ბიბლიოგრაფი-
ის ნიმუშებს.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკებში მხარეთმცოდნეობი-
თი მუშაობა მიმდინარეობს ამ ტიპის ბიბლიოთეკების ჩამოყალ-
ბებისთანავე. გასული საუკუნის 30-40-იან წლებში ყოველი რაიონ-
ის მთავარ (ცენტრალურ) ბიბლიოთეკას საშუალება ჰქონდა
დაეწყო მხარეთმცოდნეობითი კარტოთეკის წარმოება ადგილო-
ბრივი პერიოდული გამოცემების აღწერილობით. მე-20 საუკუნის
50-60-იანი წლებისთვის საქართველოში უკვე გამოცემული იყო
ეროვნული ბიბლიოგრაფიის ფუნდამენტური ნაშრომები, საიდა-

ნაც შესაძლებელი იყო მხარეთმცოდნეობითი ინფორმაციის მიღება საქართველოს ცალკეული მხარეებისა და კუთხეების შესახებ. რეტროსპექტული ბიბლიოგრაფიული წყაროების დამუშავების შედეგად ამჟამად თითოეული მუნიციპალიტეტის მთავარი ბიბლიოთეკა ფლობს საკმაოდ მდიდარ მასალას მისი მხარის შესახებ. აღნიშნული საცნობარო აპარატი სისტემატურად მდიდრდება თანამედროვე გამოცემებით. კარტოთეკის შევსების ეფექტურ საშუალებად დღეისათვის მიჩნეულია ინტერნეტის გამოყენება. იმ ბიბლიოთეკებში, სადაც ასეთ საშუალებებს ნაკლებად იყენებენ, გაიცემა მხარეთმცოდნეობითი ხასიათის უარები. ბიბლიოგრაფებმა ამ მიმართულებით უნდა აწარმოონ კოორდინაციული მუშაობა პირველ რიგში ადგილობრივ მხარეთმცოდნეობით მუზეუმებთან, დარგის მთავარ სამეცნიერო და ეროვნულ ბიბლიოთეკებთან, რომელთა საცნობარო აპარატი მდიდარია საქართველოსა და მისი ცალკეული მხარეების შესახებ არსებული მასალების ბიბლიოგრაფიული ჩანაწერებით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. მხარეთმცოდნეობა // ქსე . – თბ. , 1984 . – ტ. 7 . – 272 გვ
2. „გეორგია“ // ქსე . – თბ. , 1978 . – ტ. 3 . – 87 გვ.
3. ქართველოლოგია /ქსე . – თბ. , 1986 . – ტ. 10 . – 464 გვ.
4. ბაქრაძე ვ. გეორგია . – თბ. , 1960 . – 67 გვ.
5. ქსე; ტ.1 -11 . – თბ. , 1975-1987
6. გეორგია. – ტ. 1-9 . – თბ. , 1961-1970
7. ქართველოლოგიური კვლევა საზღვარგარეთ // ქსე. დამატებითი ტომი. თბ. , 1981 . – გვ. 243-246
8. Маслова А. Н. Краеведение и библиотека . - СПб . , 2010 . - 364 с.

